პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 265 (9733) | შაბათი, 10 ნოემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი პატრიოტული აღმავლობით შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავს.

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ცხადყვეს თავიანთი ერთგულება და დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას!




მოსკოვის საბჭოს 1953 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომის პრეზიდიუმი. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. გ. პერვუხინი, ნ. ნ. შატალინი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, მ. ა. სუსლოვი, ვ. მ. მოლოტოვი, პ. კ. პონომარენკო, გ. მ. მალენკოვი, მ. თ. შკირიატოვი, ნ. მ. შვერნიკი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ა. იასნოვი, ნ. ა. მიხაილოვი, ნ. მ. პეგოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ვ. გრიშინი და ე. ა. ფურცევა.

ფოტო ა. ეგოროვისა და ფ. ლატიპოვასი.

## კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა

„პრავდის“ 8 ნოემბრის მოწინავე

დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალებით ავსე, ახალი დიდი წარმატებებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში შეხვდა საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავს.

გუშინ მოსკოვში, წითელ მოედანზე, გაიმართა სამხედრო პარადი და მშრომელთა წარმომადგენლების ხალხმრავალი დემონსტრაცია. მშრომელთა დემონსტრაციები მოეწყო ლენინგრადში, კიევში, მინსკში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. დიდმა საბჭოთა ხალხმა მძლავრად და მკაფიოდ ცხადყო თავისი ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, თავისი მჭიდრო დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, თავისი მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილება იაროს პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

საბჭოთა ხალხთან ერთად ოქტომბრის 36-ე წლისთავი აღნიშნეს დიდმა ჩინელმა ხალხმა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებმა, კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მილიონობით უბრალო ადამიანმა. დღესასწაულის დღეებში ჩვენს წინაშე განსაკუთრებული ძალით იახება დიდი ოქტომბრის საერთაშორისო, ინტერნაციონალური მნიშვნელობა. ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მოასწავებდა ძირეულ მობრუნებას კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში; ჩვენმა ხალხმა სხვა ქვეყნების ხალხებს უჩვენა ჩაგვრისაგან განთავისუფლების გზა, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების გზა. ყველა ქვეყნის მშრომელებს ახარებთ საბჭოთა ხალხის წარმატებანი მშვიდობიან მშენებლობაში, ისინი ამაყობენ ამ მსოფლიო-ისტორიული წარმატებებით.

ოქტომბრის 36-ე წლისთავის წინა დღეს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის მოხსენებაში მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე შეჯამებულ იქნა იმ დიდ და სახელოვან გამარჯვებათა შედეგები, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

თავიანთი შთაგონებული შემოქმედებითი შრომით საბჭოთა ადამიანები წარმატებით ახორციელებენ პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ამას თვალნათლივ ჰოწმობს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ განვლილ ათ თვეში გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდდა 10,5 პროცენტით და დაახლოებით ორნახევარჯერ გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს.

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო იღებენ დიდ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცება, მეცხოველეობის განვითარება, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდება, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდება, კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობის გაუმჯობესება. ამ ბოლო დროს პარტიამ და მთავრობამ მიიღეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომელთა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი ამაღლება, სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარება, საბჭოთა ვაჭრობის გაუმჯობესება, საბინაო მშენებლობის გაფართოება და მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ის, რომ მოკლე ვადაში გადაჭრით ამაღლდეს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელის ცხოვრების დონე.

პარტიისა და მთავრობის ეს გადაწყვეტილებანი მოასწავებენ საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ახალ ეტაპს. სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული აღმავლობის პოლიტიკა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის შემდგომი ლოგიკური განვითარებაა და მთლიანად შეესაბამება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონისა და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი პროპორციული განვითარების კანონის მოთხოვნებს.

საბჭოთა ხალხის მთელი დიადი, ჭეშმარიტად დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალები უნდა მოხმარდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ახალი გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტას. მათი წარმატებით გადაწყვეტის საწინდარია მუშათა და გლეხთა კავშირის — საბჭოთა წყობილების საფუძვლის შემდგომი განმტკიცება, ხალხთა ურღვევი მეგობრობის — ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს უძლეველობის წყაროს განვითარება და განმტკიცება.

ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობის უდიდესი გაქანება მეტყველად და დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა კავშირის პოლიტიკის მშვიდობისმოყვარულ ხასიათს. ამ პოლიტიკის გენერალური გეზი იყო და კვლავ რჩება ბრძოლა მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ყველა ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებისათვის, საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ეს გენერალური გეზი ურყევია! როგორც უნდა ცდილობდნენ იმპერიალისტური ბანაკის დაქირავებული მჯღაბნელები დაამახინჯონ ეს გეზი და ცილი დასწამონ მას, ხალხები მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ მას, ჩვენი ქვეყანა მიაჩნიათ მშვიდობის ერთგულ და შეუდრეკელ მედროშედ. და, პირიქით, იმპერიალისტური ბანაკი, რომელსაც მეთაურობენ ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული ძალები, თავისი საქმეებით სულ უფრო ააშკარავებს თავის თავს ხალხების თვალში როგორც ხალხთა შორის მტრობის პოლიტიკის, ახალი ომის მომზადების პოლიტიკის ორგანიზატორი, როგორც გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგების მოწინააღმდეგე.

ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლოს დიადი მაგალითით შთაგონებული ძალები, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან, განუწყვეტლივ იზრდებიან, მტკიცდებიან და სულ უფრო დიდმნიშვნელოვან ფაქტორად იქცევიან მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. განვლო იმ დრომ, როცა იმპერიალისტებს შეეძლოთ განუკითხავი და დაუსჯელი მბრძანებლობა ხალხებზე! აგრესორები ამზადებენ ომის გეგმებს, ხოლო ხალხები, რომლებიც იცავენ თავიანთ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ფუშავენ ამ ავაზაკურ გეგმებს. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩაფუშონ აგრესორთა გეგმები და სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან, რადგან ერთიანობა მშრომელთა ძალაა, ყველა იმ ადამიანის ძალაა, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავიდან აიცილონ ომი, დაიცვან მშვიდობის საქმე.

დიადი პრინციპები, რომლებიც 36 წლის წინათ გამოაცხადა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ახლა გიგანტური და უძლეველი ძალა გახდა, რომელიც რაზმავს მშვიდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის მძლავრ ბანაკს, გახდა ძალა, რომელიც რაზმავს დედამიწის ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანს მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და პროგრესისათვის საბრძოლველად.

ნათელი მომავლის საიმედო და ერთადერთ სწორ გზას კაცობრიობას უჩვენებს საბჭოთა ხალხი, რომელსაც ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშძლე მოძღვრებით შეიარაღებული ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია. ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

## პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე მოსკოვში

მძლავრი პოლიტიკური, სამეურნეო და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, კომუნიზმის გზაზე დიდებულ მიღწევათა ვითარებაში დღესასწაულობს საბჭოთა ქვეყანა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავს.

საბჭოთა დედაქალაქი განსაკუთრებით დიდებულია 1953 წლის 7 ნოემბრის ამ დილას. სადღესასწაულოდ მორთულან ქალაქის მაგისტრალები და ქუჩები. ფასადებზე ალისფრად ლაპლაპებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი. შრიალებს დროშების აბრეშუმი. ბურუსიან შემოდგომას თითქოს უკან დაუხევია, როცა შეუხედავს სადღესასწაულოდ მორთული ასიათასობით მოსკოველისათვის, ქუჩებში ყვავილებით, ფერადი ტრანსპარანტებით რომ გამოსულან. მოსკოვში გაისმის ბედნიერების, შრომისა და მშვიდობის წკრიალა სიმღერები!

დიდებული სანახავია წითელი მოედანი — სახალხო დღესასწაულების ადგილი. სახელმწიფო უნივერმაღის ფასადი მორთულია წითელი ტილოებით. ცენტრშია ბარელიეფი კომუნისტური პარტიის გენიალური დამაარსებლისა და ბრძენი ბელადის ვ. ი. ლენინის, მისი მოწაფისა და საქმის განმგრძობის დიდი ი. ბ. სტალინის გამოსახულებით. საბჭოთა კავშირის უზარმაზარი გერბის ქვეშ მოთავსებულია თექვსმეტი მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის გერბები.

პარადის დაწყებამდე რამდენიმე წუთია. გრანიტის ტრიბუნებზე კრემლის კედელთან არიან მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების მოწინავეები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, მინისტრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები. განსაკუთრებულ ლოჟებში არიან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სამხედრო ატაშეები. აქვე არიან მრავალი უცხოელი სტუმარი, საზღვარგარეთის ქვეყნების საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებიც ოქტომბრის დღესასწაულზე ჩამოსულან.

წითელ მოედანზე და შორს მას იქით — ისტორიის მუზეუმის გასასვლელებში, მანეჟთან, გორკის ქუჩაზე, ოხოტნი რიადზე თავმოყრილი არიან ჯარის ნაწილები.

ლენინ — სტალინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები — ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. მ. შვერნიკი, პ. კ. პონომარენკო, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი, მ. თ. შკირიატოვი, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მარშლები, გენერლები და ადმირალები. მათ ოვაციით ხვდებიან წითელ მოედანზე მყოფი სტუმრები.

ზუსტად დილის ათ საათზე, კრემლის კურანტების პირველი ჩამორეკისას მაცხოვრის კოშკის კარიდან ღია ავტომობილით გამოდის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ა. ბულგანინი. მის შესახვედრად გაემართა პარადის სარდალი არმიის გენერალი კ. ს. მოსკალენკო. მანქანები მოედნის ცენტრში ჩერდებიან. ნ. ა. ბულგანინი პატაკს იღებს და პარადის სარდალთან ერთად ჩამოუვლის ჯარებს, მიესალმება ჯარისკაცებსა და მატროსებს, სერჟანტებსა და ზემდეგებს, ოფიცრებს, გენერლებსა და ადმირალებს და ულოცავს მათ დიდი ოქტომბრის 36-ე წლისთავს. მქუხარე „ვაშა“ მძლავრ ტალღებად გაისმის თავდაცვის მინისტრის მისალმების პასუხად. ორკესტრები ასრულებენ შემხვედრ მარშს. და სანამ ჩამოვლა გრძელდება, მავზოლეუმის წინ ეწყობა ათასსაყვირიანი სამხედრო ორკესტრი, რომელსაც პოლკოვნიკი პეტროვი დირიჟორობს.

ჯარების ჩამოვლა დამთავრებულია. წითელ მოედანზე გაისმის გლინკას მოზეიმე მელოდია „იდიდე“ — დიდებული ჰიმნი რუსი ხალხისადმი!

ამხანაგი ბულგანინი მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადის. ოქროსფერი წითელფრთებიანი ფრინველებივით აიშალნენ ალმებიანი ფანფარები, გაისმის სიგნალი:

„ისმინეთ ყველამ!“

ეს სიგნალი, რომელიც რადიომ გაიმეორა, გაისმის ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში. ისმინეთ ყველამ, ლაპარაკობს წითელი მოედანი, ლაპარაკობს მოსკოვი, ლაპარაკობს საბჭოთა ხალხი! იგი ესმით ჩინეთში, ვიეტნამში, კორეაში, ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ამ წუთს აქეთკენ, კრემლის კედლებისაკენ გაბმულია უხილავი ძაფები დედამიწის ყოველი კუთხიდან. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი ნ. ა. ბულგანინი სიტყვას ამბობს.

## საბჭოთა კავშირის მარშლის ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

ჩვენო ძვირფასო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მოგესალმებით და გილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავს.

მიმდინარე წელი სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში საბჭოთა კავშირის ახალი დიდი წარმატებების წელია. ამ წელიწადში საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავისი მთავრობის გარშემო. კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა. საბჭოთა სახელმწიფო კიდევ უფრო მტკიცე გახდა.

გასული წლის მანძილზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დიდი წარმატებანი მოიპოვეს ჩვენმა საზღვარგარეთელმა მეგობრებმაც — დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებმა დასავლეთსა და აღმოსავლეთში.

ამის შედეგად სოციალიზმისა და დემოკრატიის ჩვენი ბანაკი კიდევ უფრო ძლიერი და მძლავრი გახდა.

დღეს დიდი ოქტომბრის წლისთავის საყოველთაო-სახალხო სახელმწიფო დღესასწაულს საბჭოთა კავშირის მშრომელები ხვდებიან ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის პირობებში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების ახალი დიდი ზრდის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის უკანასკნელ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

ამ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა განხორციელება უკვე უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაადიდებს მოსახლეობის უზრუნველყოფას სასურსათო და სამრეწველო საქონლით, აამაღლებს კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის დონეს და კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს. სწორედ ამიტომ ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა გულმოდგინედ უნდა იბრძოლონ პარტიისა და მთავრობის აღნიშნულ გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის, რათა ამით მიაღწიონ ჩვენი სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას.

საგარეო პოლიტიკის დარგში, როგორც ეს ცნობილია ჩვენი მთავრობის არაერთგზისი განცხადებიდან, საბჭოთა კავშირი მუდამ ესწრაფოდა და ესწრაფვის მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას და ყველა საერთაშორისო უთანხმოების მოწესრიგებას.

სწორედ ამ მიზნებს ემსახურება საბჭოთა მთავრობის ცნობილი წინადადებები საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა შესახებ. ამ წინადადებათა საპასუხოდ დასავლეთის სახელმწიფოები ჩვეულებრივ აყენებენ სხვადასხვაგვარ წინასწარ პირობებს, რომლებიც სინამდვილეში შეუთავსებელია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებთან. ამასობაში ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების ტერიტორიებზე, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საზღვრების ახლოს, იქმნება ამერიკის სულ

(დასასრული მე-2 გვერდზე).

# პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე მოსკოვში

(დასასრული)

ახალ-ახალი სამხედრო ბაზები. უცხოეთის პრესა განუწყვეტლივ აქვეყნებს ცნობებს აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ჯარების წვრთნისა და მანევრების შესახებ, რომლებიც ეწყობა, როგორც წესი, ამერიკელი გენერლების ხელმძღვანელობით.

ამ პირობებში ჩვენს მთავრობას არ შეუძლია ჯეროვნად არ იზრუნოს ჩვენი შეიარაღებული ძალების განმტკიცებისათვის, რათა უზრუნველყოს საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროება.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობა მიმდინარე წელს განაგრძობდა თავისი საბრძოლო გაწვრთნილობის სრულყოფას. ამას წინათ დამთავრდა საბჭოთა არმიის ჯარების საშემოდგომო წვრთნა და მანევრები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში მოეწყო. ამ მანევრებსა და წვრთნაში, რომლებიც მიმდინარე წლის საბრძოლო სწავლის დაგვირგვინება იყო, მონაწილეობა მიიღეს ყველა გვარეობის სახმელეთო ჯარებმა, სამხედრო-სადესანტო ჯარებმა, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებმა.

სხვადასხვა ადგილას და სწავლის სხვადასხვა ვითარებაში მოწყობილმა წვრთნამ და მანევრებმა დიდი პრაქტიკა შესძინა მონაწილე ჯარებს და საშუალება მოგვცა შეგვემოწმებინა მათი საბრძოლო მომზადება და უნარი — გამოიყენონ თანამედროვე იარაღი ნამდვილ ბრძოლასთან მიახლოებულ ვითარებაში.

სამხედრო-საზღვაო ძალებმა თავიანთი წვრთნა დაამთავრეს საბრძოლო ხომალდების ლაშქრობით პოლონეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის ნავსადგურებში მეგობრული ვიზიტის მიზნით. ამ ლაშქრობებმა ცხადყვეს ჩვენი სამხედრო მეზღვაურების ჩინებული საზღვაო გაწვრთნილობა.

წვრთნამ და მანევრებმა დაგვანახვეს, რომ ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა, აითვისეს რა დიდი სამამულო ომის მდიდარი გამოცდილება და წარმატებით ეუფლებიან რა უახლეს სამხედრო ტექნიკასა და ახალ იარაღს, რაც მიიღეს ჩვენი მთავრობის ზრუნვისა და მეცნიერთა, ინჟინერთა, კონსტრუქტორთა და მრეწველობის მუშაკთა ნაყოფიერ ღონისძიებათა მეოხებით, ბევრი რამ გააკეთეს თავიანთი საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის.

ამხანაგებო!

ჩვენ წარმატებით მივდივართ წინ კომუნიზმისაკენ. ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას უკვე ნახევარი საუკუნეა მიჰყავს ჩვენი სამშობლოს მშრომელნი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობა ჩვენი წარმატებების გადამწყვეტი პირობაა. მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით ჩვენ გაბედულად და მტკიცე რწმენით მივდივართ წინ, ვიცით რა, რომ ჩვენი საქმე უძლეველია.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ვაშა!

* * *

მოედანზე გრიალებს მძლავრი „ვაშა!“. ეს არის ჯარების პასუხი მარშლის სიტყვაზე. ამ სიტყვაში უაღრესი სიცხადით, ურყევი ძალით და ლოგიკით, ერთხელ კიდევ გამოიხატა საბჭოთა ადამიანების მისწრაფება მშვიდობისადმი, საერთაშორისო თანამშრომლობისადმი, მათი ნება — განამტკიცონ მშვიდობისათვის საბჭოთა სახელმწიფოს ძალა და ძლიერება. და როგორც ჩვენი ქვეყნის ნათელი და სასიხარულო მომავლის სიმბოლო, ლენინისა და სტალინის დიადი საქმის სიმართლისადმი რწმენის სიმბოლო, მოედანზე გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი. კრემლის კედლებიდან გრიალებს საარტილერიო სალუტის ზალპი.

ფანფარების მომწოდებელი ხმა იუწყება, რომ დაიწყო ჯარების საზეიმო სვლა.

ჩვენი მამაცი მეომრები პირველად როდი მოდიან წითელ მოედანზე და ცხადყოფენ საბჭოთა არმიის ძლიერებას. და ყოველთვის ახლებურად აღელვებს პარადი ამ დიდებული სანახაობის მოწმეებს.

ათასობით თვალი შესცქერის ისტორიის მუზეუმს. იქიდან წამოვიდნენ მ. ვ. ფრუნზეს სახელობის წითელდროშოვანი ლენინის ორდენოსანი და სუვოროვის I ხარისხის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის მსმენელთა ნაკრები ბატალიონები.

ოცდათხუთმეტი წლის წინათ, 1918 წლის 8 დეკემბერს, ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა ეს უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი. ლეგენდარული გმირი ჩაპაევი, მთელი რიგი საბჭოთა კავშირის მარშლები შედიან აკადემიაში გამოზრდილი მხედართუფროსების სახელოვანი კოჰორტის შემადგენლობაში.

მოდის ი. ბ. სტალინის სახელობის საბჭოთა არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების ლენინის ორდენოსანი სამხედრო აკადემია. ტანკისტებს ღილკილოებში აქვთ მრისხანე მანქანების ოქროს სილუეტები. საბჭოთა ტანკების ჯავშნით ჩვენმა მეომრებმა — ტანკისტებმა ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლება მიუტანეს ევროპის ბევრ ხალხს. აი ამიტომ ტრიბუნებიდან ალტაცებით უკრავენ ტაშს ტანკისტების უშწიკვლოდ ჩამწკრივებულ რიგებს ჩვენი სტუმრები — მეგობრები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან.

სიამაყის მღელვარება ეუფლება გრანიტის ტრიბუნებზე მყოფთ, როცა ტრადიციული სამხედრო მარშის „სამშობლოს დასაცავად“ ხმებში მტკიცე ნაბიჯით მოდიან ათობით საბჭოთა კავშირის გმირები — ცისფერი სივრცეების დამპყრობი მფრინავი ოფიცრები, მესაზღვრეები — ჩვენი სამშობლოს მამაცი გუშაგები, თავდაბალი და უშიშარი პოლიტმუშაკები — წითელი არმიის ლეგენდარული კომისრების ტრადიციების განმგრძობნი.

წითელ მოედანზე შემოდიან ჩვენი ქვეყნის უძველესი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის მოსკოვის წითელდროშოვანი ქვეითი ჯარის სასწავლებლის კურსანტები. თითქოს განგებ შერჩეულნი, ახოვანნი, შეხანამომარჯვებულნი მწყობრად მოაბიჯებენ კურსანტები. ბევრი მეთაური მისცა საბჭოთა არმიას ამ სასწავლებელმა. მისმა კურსანტებმა სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს საბჭოთა ხალხის გმირობის ისტორიაში.

მოედანზე მოდიან სამხედრო მეზღვაურები. მაღალი პატივი — ცხადყონ სოციალისტური სახელმწიფოს საზღვაო ზღუდეების დამცველთა საბრძოლო მზადყოფნა, ამჯერად წილად ხვდათ ბალტიკის მეზღვაურებს.

წუთით მოედანი ცარიელდება. სწრაფად იზრდება მოტორების გუგუნი. მოდის ტამანის მ. ი. კალინინის სახელობის წითელდროშოვანი სუვოროვის ორდენოსანი გვარდიის მსროლელი დივიზია. ფოლადის მუზარადიანი, ავტომატებით ხელში მჭიდრო რიგებად სხედან მებრძოლები ჯავშნით მტკიცედ შემოსილ მანქანებში.

ათასობით თვალი უცქერის სახელოვან გვარდიელებს. მათ ტაშს უკრავენ.

და თითქოს მამაც ქვეით გვარდიელებს საბრძოლო წვრთნაში ეჯიბრებიანო, ცაში რეაქტიული თვითმფრინავებით გაისრიალებენ მფრინავი გვარდიელები.

პარადი მიწაზე ერთვის პარადს ჰაერში. ფლაგმანის ხომალდის შემდეგ მოედნის თავზე ზედიზედ ტალღებად უდიდესი სისწრაფით გადაიქროლებენ რეაქტიული თვითმფრინავები. გეზი აღებული აქვთ რა ზუსტად სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ისარივით გაისრიალებენ ჰაერში რეაქტიული ავიაგამანადგურებლები. აი გაიელვა ამ „ელვა“ მანქანების პირველმა რგოლმა, მას მოჰყვა მეორე, მესამე. მანქანები მოჰყავთ მამაც მფრინავებს სოკოლოვს, პეტროვს, სიჩევს, ლუშჩიკს და სხვებს, რომლებიც ავიაგამანადგურებელთა კოლონაში მოფრინავენ.

...ფოლადის უძლეველი ნიაღვარივით შემოდიან წითელ მოედანზე ჯარის ნაწილები. ტრიბუნებს მოტორების მწყობრი გუგუნით ჩაუვლიან სატვირთო მანქანები. მწვანე გვერდებზე მოჩანს „ფრთოსანი ქვეითების“ ემბლემა — ფრთები და პარაშუტი. ესენი მედესანტეები არიან. ხელში უჭირავთ ავტომატები, მსუბუქი ტყვიამფრქვევები, ზურგზე ჰკიდიათ პარაშუტის ჩანთები.

მოახლოებული ქარიშხალივით იზრდება გრუხუნი. მოედანზეა მრისხანე საბჭოთა არტილერია. მძლავრ „ზისებს“ და საწევრებს მიბმულნი მოდიან ზარბაზნები, ჰაუბიცები, ნაღმსატყორცნები, საზენიტო დანადგარები.

საბრძოლო ტექნიკის სხვადასხვაობითა და სრულყოფით დიდებულ სანახაობას წარმოადგენს საბჭოთა არტილერიის — ჩვენი არმიის დამკვრელი ძალის მარში.

ტრიბუნებზე მოწონების ტაშის გრიალს იწვევს საბრძოლო მანქანების გავლა ჰაერში და მიწაზე. მფრინავების, არტილერისტების ოსტატობასა და მრისხანე ტექნიკას უკრავენ ტაშს საბჭოთა ადამიანები და ჩვენი სტუმრები — ჩინეთიდან, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან ჩამოსული მეგობრები, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა დელეგაციები. მათ იციან, რომ საბჭოთა არმიის საბრძოლო ძლევამოსილება მშვიდობის გარანტიაა.

პარადში მონაწილეობა მიიღეს სუვოროვისა და ნახიმოვის სამხედრო სასწავლებელთა მოსწავლეებმა. მწყობრი და მტკიცეა მათი ნაბიჯი. ბევრი ენერგია, სილამაზე და ჯანსაღობაა ამ საუცხოო, ტანად მოზარდებში — მომავალ ოფიცრებში, გენერლებსა და ადმირალებში. რუს მხედართმთავართა სახელოვანი სამხედრო ტრადიციებით იზრდებიან ეს ჭაბუკები, რომელთა შორისაც დღეს არის ფლოტის დიდი სარდლის ნახიმოვის ბადიშვილი — კომკავშირელი ალექსანდრე ნახიმოვი.

...სადღესასწაულო პარადი წითელ მოედანზე დაამთავრეს მოსკოვის გარნიზონის ნაკრები ორკესტრის სამხედრო მუსიკოსებმა.

ორმოცდახუთ წუთს გასტანა სამხედრო პარადმა. საბჭოთა მეომრებმა ცხადყვეს მაღალი დისციპლინა და დარაზმულობა, საუცხოო გაწვრთნილობა.

* * *

ჯარების პარადი დამთავრდა. სადღაც მდინარე მოსკოვის ხიდთან წყდება საბრძოლო მანქანების გუგუნი, ხოლო ისტორიის მუზეუმის მხრივ წითელი მოედნის ფართო სივრცეში შემოდიან დემონსტრანტთა სადღესასწაულო კოლონები.

სადღესასწაულო სვლას იწყებს ფიზკულტურელთა მრავალათასიანი რაზმი. ძლიერნი და მამაცნი, შრომასა და სწავლაში შეუპოვარნი, ისინი განასახიერებენ საბჭოთა ადამიანების — კომუნიზმის მშენებლების ბედნიერ ახალგაზრდობას.

მზის სხივები დასთამაშებენ კოლონის თავზე მაღლა აღმართული სსრ კავშირის სახელმწიფო გერბის ოქროსფერ თავთავებს. მის გარშემო წითელი ალმებია თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკის გერბებით. მიესალმებიან რა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, ჭაბუკები და ქალიშვილები მაღლა სწევენ ყვავილების ათასობით თაიგულს. გაისმის მრავალხმიანი ერთსულოვანი შეძახილები:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას დიდება! დიდება! დიდება!

როგორც ზღვის ზვირთცემა, ისე გრგვინავს მოედანზე „ვაშა“! და აი უკვე მავზოლეუმის წინ მოაბიჯებს მედროშეების — ათას ხუთასი ალმის ნაკრებთ კოლონა! წინ არის მოსკოვის დროშა, რომელსაც აგვირგვინებს ლენინის ორდენი.

მოედანზე შემოდიან მოსკოვის მშრომელები. მოდიან ჩარხმშენებლები და ფეიქრები, მეტალურგები და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემქმნელები, რკინიგზელები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, მასწავლებლები და სტუდენტები.

მანიფესტანტების მწკრივებს ზემოთ არის მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების — მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის პორტრეტები. მშრომელებს მოაქვთ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების გ. მ. მალენკოვის, ვ. მ. მოლოტოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ვ. ა. ბულგანინის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიქოიანის, მ. ზ. საბუროვისა და მ. გ. პერვუხინის პორტრეტები.

მოედანზე ამავე დროს მოდიან მოსკოვის თირმეტი რაიონის: ლენინის, კიროვის, კრასნაია პრესნიას, საბჭოს, მოლოტოვისა და სხვა რაიონების მშრომელთა კოლონები.

დემონსტრანტების ნაკადში არიან მოსკოვის ჩარხმშენებლები, რომლებსაც მოუძღვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივი. ამ საწარმომ მტს-ებისათვის დაამზადა 1.200 სახარატო ჩარხი. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის, ქარხანა „სტანკოკონსტრუქციის“ და სხვათა კონვეიერებიდან ჩამოდიან მანქანები, რომლებიც დამსახურებული სახელით სარგებლობენ ციმბირში და ურალზე, საქართველოსა და უკრაინაში, ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა კუთხეში.

პირველი მაისის რაიონის კოლონაში არიან მოსკოვის უძველესი ქარხნის „სერპ ი მოლოტის“ მეტალურგები. წლის დასაწყისიდან მათ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ათი ათას ტონაზე მეტი ფოლადი და ნაგლინი.

მძიმე მრეწველობის განვითარებამ ყველა პირობა შექმნა სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის. ოქტომბრის კოლონების გაფორმებაში მკაფიოდ არის ასახული ის უდიდესი აღფრთოვანება, რომლითაც მუშები, კოლმეურნე გლეხობა და საბჭოთა ინტელიგენცია შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ითვალისწინებენ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრ ამაღლებას, სსრ კავშირის ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონია.

მოსკოველები სიამაყით იძლევიან პატაკს შრომითს გამარჯვებებზე სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების გრანდიოზული პროგრამის შესრულებაში. ისინი დღეს დემონსტრაციაზე გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოვებული წარმატებების გამო სიამაყის განსაკუთრებული გრძნობით.

ტრანსპარანტებზე, რომლებიც ფეიქრებს მოაქვთ, გამოსახულია ციფრები:

— აბრეშუმის ქსოვილების წარმოების მხრივ მრეწველობამ უკვე მიაღწია 1955 წლისათვის დაგეგმილ დონეს.

— შალის ქსოვილების, შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმის გამოშვების დავალება ოთხ წელიწადში შესრულდება.

...ვარდების, ყაყაჩოების, ქრიზანტემების თაიგულები ერთვის ქსოვილთა ლია ფერებს და ქმნის ფერების შესანიშნავ გამას. მოდიან კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ მუშები.

ა. ი. მიქოიანის სახელობის კვების კომბინატის, საკონდიტრო ფაბრიკების „კრასნი ოქტიაბრის“, „ბოლშევიკის“ მუშაკებს მოაქვთ ტრანსპარანტები, რომლებიც მოგვითხრობენ ჩვენს ქვეყანაში კვების პროდუქტების წარმოების ზრდასა და ამოცანებზე.

მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის სოფლის მეურნეობას. მკაფიო პანოებსა და პლაკატებზე, რომლებიც დემონსტრანტებს მოაქვთ, ნაჩვენებია მოსკოვის ოლქის მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მიღწევები. მათ შორის არიან კოლმეურნეობა „პამიატ ილიჩა“, მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა „ლესნიე პოლიანი“ და გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობა, რამენსკოეს მტს-ი.

დემონსტრანტთა რიგებში მოდიან სოფლის მეურნეობის კადრების უძველესი სამჭედლოს — ტიმირიაზევის აკადემიის მასწავლებლები და სტუდენტები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აკადემიამ ჩვენს ქვეყანას მისცა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ათასობით სპეციალისტი, რომლებიც ამჟამად შრომობენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდა შეხამებულია საქონელბრუნვის ფართოდ გაშლასთან. საბჭოთა ვაჭრობის მუშაკთა მზადყოფნა — შეასრულონ ახალი ამოცანები, გამოხატულია იმ კოლონების გაფორმებით, რომლებშიც მოდიან ცენტრალური უნივერმაღისა და სხვა სავაჭრო საწარმოთა მოსამსახურეები.

მოედანზე ჩაიარეს დედაქალაქის ლენინგრადის, სტალინის, ოქტომბრის, სოკოლნიკის, ფრუნზეს, რკინიგზისა და სხვა რაიონების მშრომელებმა.

ყვავილებსა და ალისფერ ტილოებს შორის აღმართულია მხატვრული პანო საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტის სიტყვებით. ეს არის დეკრეტი ზავის შესახებ, რომლითაც დაიწყო ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა. და ამჟამად, დიდი ოქტომბრის წლისთავის დღეს, საბჭოთა კავშირის მშრომელნი ძმურ სალამს უძღვნიან ყველა ხალხს, რომელიც იბრძვის მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის. ისინი სულით და გულით წარმოთქვამენ:

— გაუმარჯოს მშვიდობას ხალხთა შორის!

საბჭოთა ადამიანები ღირსშესანიშნავი წლისთავის დღეს ძმურ სალამს უძღვნიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც წარმატებით იბრძვიან სახალხო მეურნეობის შემდგომი ამაღლებისა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. საბჭოთა ხალხი გამოხატავს მხურვალე გადაწყვეტილებას განამტკიცოს ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებთან.

მანიფესტანტთა რიგებში მოაქვთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

წითელ მოედანზე მოდიან მოსკოველი მშენებლები, რომლებიც სახეს უცვლიან დედაქალაქს, რომლებიც მას მსოფლიოს ყველაზე ლამაზ ქალაქად ხდიან.

მსოფლიოში არც ერთი ქალაქი არ აშენებულა ისე ფართოდ და სწრაფად, არ გაზრდილა ისე ჩქარა და არ გარდაქმნილა მოკლე ხანში ისე საუცხოოდ, როგორც ჩვენი მშობლიური დედაქალაქი. მარტო წელს დასახულია ხუთი მილიარდი მანეთი დაიხარჯოს მის კაპიტალურ მშენებლობაზე.

საბჭოთა ხალხს უყვარს და მზრუნველობით ავითარებს თავის კულტურას, ზრუნავს მისი ზრდისა და გაფურჩქვნისათვის. კულტურის მოღვაწეები თავიანთ ოსტატობასა და ნიჭს ანდომებენ ხალხის სამსახურს. ტრიბუნებიდან მხურვალედ მიესალმებიან მოედანზე დემონსტრანტთა კოლონებში მიმავალ მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ცნობილი უდიდესი თეატრების კოლექტივებს.

განუწყვეტლივ გაისმის მოედანზე სასიხარულო სიმღერები, საზეიმო მუსიკა, მისასალმებელი შეძახილები. მოდიან დედაქალაქის კომკავშირელები და ახალგაზრდობა — სტუდენტები, ტექნიკუმების, სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლენი.

დემონსტრანტების თავზე ფრიალებს ასობით ტილო, რომლებზეც წარწერილია მოწოდება:

— გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობას!

დემონსტრანტები მხურვალედ მიესალმებიან ტრიბუნებზე მყოფ საზღვარგარეთელ სტუმრებს. მათ შორის ბევრია მონაწილე პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესისა, რომელიც გახდა პროლეტარიატის საერთაშორისო ერთიანობის განმტკიცების, ყველა ქვეყნის ხალხთა შორის თანამშრომლობის დამყარების უაღრესად მკაფიო დემონსტრაცია.

საბჭოთა ადამიანები თავიანთი დიდი დღესასწაულის დღეს მიესალმებიან იაპონელ ხალხს, რომელიც მამაცურად იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისი სამშობლოს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარებისათვის, იმპერიალისტთა სამხედრო პლაცდარმად იაპონიის გადაქცევის წინააღმდეგ. პლაკატებზე წარწერილია ძმური მისალმების სიტყვები კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებისადმი, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

დემონსტრანტები გამარჯვებას უსურვებენ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობას მათს ბრძოლაში ომის თავიდან აცილებისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, გამარჯვებას უსურვებენ საბჭოთა კავშირის ხალხებსა და საფრანგეთისა და იტალიის ხალხებს შორის მეგობრობას.

ოქტომბრის დემონსტრაციის მონაწილეთა კოლონების თავზე აღმართულა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები.

მაცხოვრის კოშკზე საათის ისრები აჩვენებენ 13 საათსა და 45 წუთს. დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაცია მთავრდება. წითელ მოედანს კვლავ ავსებს ათასობით ფიზკულტურელი. მოედნის ერთი ბოლოდან მეორემდე სპორტსმენთა კოლონების თავზე გიგანტური ასოებისაგან კეთდება საბჭოთა ხალხის წმიდა დევიზი:

**წინ,**
**კომუნიზმის**
**გამარჯვებისაკენ!**

ოქტომბრის დემონსტრაცია იყო კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მკაფიო გამოხატულება, გამოხატულება სოლიდარობისა სხვა ქვეყნების მშრომელებთან, რომლებიც იბრძვიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

(საქდესი).

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა დარბაზობა გამართა

7 ნოემბერს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა დარბაზობა გამართა მოსკოვის დიპლომატიური კორპუსისათვის.

დარბაზობას დაესწრნენ უცხოეთის საელჩოებისა და მისიების მეთაურები და წევრები, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ტრაიკოვი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვ. ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი გ. ლოხი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაციის მეთაური პ. ბატორი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაციის მეთაური კიმ ხენ კუკი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე მ. კონსტანტინესკუ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრი ტ. ბაუდორჯი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ა. ბირლედიანუ, ფინეთის მთავრობის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ი. ვანამო, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილე ე. ვინია, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. კოვაჩი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ფ. მარეკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილე ი. სლიუსარჩიკი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ი. შებეშტიენი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე რ. შტაიმერი, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლ. საიანი, საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანი გ. მონმუსო, სრულიად ჩინეთის დემოკრატ ქალთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე სიუი გუან-პინი.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. მ. კაგანოვიჩი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი ა. ი. მიქოიანი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები მ. გ. პერვუხინი, პ. კ. პონომარენკო, ი. თ. თევოსიანი, ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. მალიშევი, ი. გ. კაბანოვი, ა. გ. ზვერევი, ა. ფ. ზასიადკო, ნ. კ. ბაიბაკოვი, ს. მ. ტიხომიროვი, ს. ა. აკოპოვი, ი. ა. ბენედიქტოვი, ი. ი. ნოსენკო, დ. ფ. უსტინოვი, ნ. ა. დიგაი, ბ. პ. ბეშჩევი, ზ. ა. შაშკოვი, ვ. პ. ზოტოვი, ა. თ. ტრეტიაკოვი, კ. პ. გორშენინი, პ. ი. ანტროპოვი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ა. ვოლინი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო, რუსეთის სფსრ მინისტრები ი. ა. კაიროვი, ტ. მ. ზუევა, საბჭოთა კავშირის მარშლები ა. მ. ვასილევსკი, გ. კ. ჟუკოვი, ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები ს. მ. ბუდიონი, ვ. დ. სოკოლოვსკი, ლ. ა. გოვოროვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ვ. ა. ზორინი, ს. ა. ბორისოვი, პ. ნ. კუმიკინი, ვ. ა. სერგეევი, ს. ვ. კაფტანოვი, ი. გ. ბოლშაკოვი, საქდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. ფ. ილიჩოვი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები პ. ფ. იუდინი, ა. ა. სობოლევი, კ. ვ. ნოვიკოვი, ი. კ. პრიხოდოვი, დ. ა. ჟუკოვი, კ. დ. ლევიჩკინი, გ. ტ. ზაიცევი, ა. პ. პავლოვი, ვ. ი. პისარევი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი, არმიის გენერლები ვ. ვ. კურასოვი, მ. ს. მალინინი, ადმირალები ნ. ე. ბასისტი, ვ. ა. ფოკინი, ვ. ა. ანდრეევი, გენერალ-პოლკოვნიკები ა. ს. ჟელტოვი, ა. ს. ჟადოვი, ი. პ. გალიცკი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები, წარმოების ნოვატორები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები.

# დიადი დღესასწაული

ჩვენი სამშობლოს მშრომელები უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური [illegible]

7 ნოემბერს ყველგან გაიმართა ხალხმრავალი სადღესასწაულო დემონსტრაციები. მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში — კიევში, მინსკში, ტაშკენტში, ალმა-ატაში, თბილისში, კიშინიოვში, ფრუნზეში, ბაქოში, რიგასა და სხვა ქალაქებში მოეწყო სამხედრო პარადები.

ლენინის ქალაქი დიდი ოქტომბრის აკვანია. დილის 9 საათზე ნევაზე გაიმართა ტრადიციული საზღვაო პარადი. სასახლის მოედანზე სამხედრო პარადის შემდეგ დაიწყო მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია. მათ უპატაკეს თავიანთი შრომითი წარმატებანი. ერთ-ერთი პირველი მოდის კიროვის ქარხნის კოლექტივი. ამ ქარხნის ბევრი მეფოლადე, იყენებდა რა შრომის პროგრესულ მეთოდებს, წინასადღესასწაულო დღეებში ყველა ნადნობს გრაფიკზე ადრე იძლეოდა. სტალინის სახელობის ქარხნის მელითონეებმა დიდი ოქტომბრის 36-ე წლისთავისათვის დაამთავრეს წინდენი საბრუნ-ფრთიანი ტურბინის დამზადება. ტურბომშენებლობის პრაქტიკაში ასეთ მანქანას პირველად უშვებენ. ორმოცდაათი ახალი ტიპის მანქანა და აპარატი აითვისა წელს ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა — „ელექტროსილამ“. შრომაში თავიანთი დიდი მიღწევები უპატაკეს ნევის გარეუბნის, ვიბორგის მხარის, ვასილის კუნძულის მშრომელებმა, რკინიგზელებმა, წყალტრანსპორტელებმა და ქალაქის მშენებლებმა.

საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი კიევი. ურღვევია დიდი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობა. 1954 წლის იანვარში 300 წელი სრულდება რუსეთთან უკრაინის შეერთების დღიდან. ეს არა მარტო რუსებისა და უკრაინელების დიდი დღესასწაულია — ეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ხალხის უდიდესი ზეიმია. დიდი ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში უკრაინის დედაქალაქის მცხოვრებლებმა ზეიმით გაატარეს კრეშჩატიკზე დროშები და თავისი დიდი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად მოპოვებული შრომითი გამარჯვებების პატაკები. ქალაქის მრეწველობამ წარმატებით დაამთავრა მესამე კვარტალის პროგრამა და 13 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

საზეიმო იყო მინსკის მშრომელთა დემონსტრაცია. საბჭოთა ბელორუსიის დედაქალაქის მუშები საქმით უპასუხებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, დახმარებას უწევენ ბელორუსიის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და კოლმეურნეობებს, ამზადებენ ავტომობილებს, ტრაქტორებს, თხრილამყვან მანქანებსა და სათადარიგო ნაწილებს.

დიდი აღმავლობით ჩაიარა დემონსტრაციებმა [illegible] ბენ, რათა განახორციელონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა.

შრომაში, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში ახალი წარმატებებით შეხვდნენ დღესასწაულს სტავროპოლის მხარის პეტროვსკის რაიონის სოფელ კონსტანტინოვკის კოლმეურნეები. სოფელში არის სამი დიდი სასოფლო-სამეურნეო არტელი. ეს არტელები ეკონომიურად მტკიცე გახდნენ, მათ მილიონიანი შემოსავალი აქვთ. ყველა მეურნეობამ შეასრულა საზოგადოებრივი მეცხოველეობის გეგმა. საკოლმეურნეო სიმდიდრის შექმნაში, სოფლის კულტურის აღმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონსტანტინოვკის მტს-ი, რომლის მუშაკებმაც წელს განახორციელეს მინდვრის ყველა სამუშაოს კომპლექსური მექანიზაცია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ მტს-ის მუშაობაში ბევრი რამ ახალი გაჩნდა. აქ მოვიდნენ ახალი ადამიანები — ინჟინერ-მექანიკოსები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები. მათ მექანიზატორებთან და კოლმეურნეებთან ერთად თვითეული კოლმეურნეობისათვის შეიმუშავეს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების უახლოესი ორი წლის გეგმები და მტკიცედ ახორციელებენ ამ გეგმებს.

ყველგან — ქალაქებში, მუშათა დაბებში, სოფლებში, სტანიცებში 7 ნოემბერს დიდმა საბჭოთა ხალხმა ცხადყო თავისი ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, თავისი მჭიდრო დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, თავისი ურყევი გადაწყვეტილება იაროს კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით წინ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ, იბრძოლოს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

* * *

საღამოს მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, კალინინგრადში, ლვოვში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკსა და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში გაისმა საარტილერიო სალუტის ზალპები.

დღესასწაულის დღეებში თეატრებში, კლუბებში, კულტურის სახლებში გაიმართა ახალი სპექტაკლები, მოეწყო მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების გამოსვლები და კონცერტები. (საქდესი).

# დარბაზობა საზღვარგარეთის ქვეყნების პროფკავშირული დელეგაციების პატივსაცემად

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავის დღესასწაულზე საბჭოთა კავშირში საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით ჩამოვიდა უცხოელ მუშათა და პროფკავშირთა ორმოცდაორი დელეგაცია.

მოსკოვი გულთბილად იღებს საზღვარგარეთელ მეგობრებს. ამ დღეებში სტუმრები ეცნობიან დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, დადიან მუზეუმებში, თეატრებში, მუშათა კლუბებსა და საკონცერტო დარბაზებში. ბევრმა დელეგატმა ჯერ კიდევ დღესასწაულამდე ნახა ქალაქის უდიდესი საწარმოები და ახალშენებანი, გაეცნო მოსკოველთა ყოფა-ცხოვრებას.

7 ნოემბერს სტუმრები დაესწრნენ დედაქალაქის მშრომელთა პარადსა და დემონსტრაციას წითელ მოედანზე. საღამოს მათ დაათვალიერეს სადღესასწაულოდ მორთული მოსკოვი.

8 ნოემბერს საბჭოთა კავშირში საზღვარგარეთის ქვეყნების პროფკავშირულ დელეგაციათა ყოფნის აღსანიშნავად საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. მ. შვერნიკმა დიდი დარბაზობა გამართა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

დარბაზობაზე იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, ალბანეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ფინეთის, ბელგიის, ავსტრიის, ინდონეზიის, ტუნისის, ალჟირის, მადაგასკარის, სირიის, ლიბანის, კამერუნის, ინდოეთის, ბირმის, ვიეტნამის, იაპონიის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის კავშირის, კანადის, ჩილის, ვენესუელის, ბოლივიის, კოსტა-რიკის, ესპანეთის, არგენტინის, გვატემალის, პანამის, მექსიკის, კუბის, დომინგოს რესპუბლიკის მუშათა კლასის წარმომადგენლები და პროფკავშირული მოღვაწეები და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დელეგაცია.

დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა პროფკავშირების ხელმძღვანელები, მოსკოვის მრეწველობის ნოვატორები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა საზოგადოებრიობის, პრესის წარმომადგენლები.

სვეტებიან დარბაზში გრიალებს მუსიკა, მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გაისმის ერთმანეთთან მოსაუბრე სტუმართა ხმა.

საზღვარგარეთელ მეგობრებს სიტყვით მიმართა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. მ. შვერნიკმა. მან წარმოთქვა დიდი ოქტომბრის 36-ე წლისთავის სადღეგრძელო და საზღვარგარეთელ სტუმრებს უსურვა წარმატებანი მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ამხ. შვერნიკმა ადღეგრძელა დღესასწაულის დამსწრე სტუმრები — საზღვარგარეთის ქვეყნების მშრომელთა წარმომადგენლები.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა.

დარბაზობამ ჩაიარა გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ყველა ქვეყნის მშრომელთა ერთიანობის შემდგომი განმტკიცების ნიშნით. (საქდესი).



პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია ვ. ი. ლენინის მოედანზე 1953 წლის 7 ნოემბერს. მთავრობის ტრიბუნაზე (მარცხნიდან-მარჯვნივ): ამხანაგები მ. პ. გიორგაძე, ა. ნ. ინაური, მ. ი. კუჭავა, დ. ზ. რომელაშვილი, ვ. მ. ჩხიკვაძე, ა. ი. ანტონოვი, ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ო. დ. გოცირიძე, ა. ლ. გუნია.
ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავის დღესასწაული საქართველოში

## ბათუმი

7 ნოემბერს სადღესასწაულოდ მორთული ბათუმის ქუჩები დილადრიან აივსო მოზეიმე ხალხით.

დილის 11 საათია. რევოლუციის მოედანზე გაისმის სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის საზეიმო ჰანგები. იწყება სადღესასწაულო დემონსტრაცია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის 36-ე წლისთავისადმი. დემონსტრაციას დაიწყებს მოსწავლეები.

შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ ბათუმელი ნავთობგადამამუშავებლები. მოჰქონდათ მათ ცოცხალი ყვავილებით მორთული ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, პლაკატები და ტრანსპარანტები, რომლებიც მოგვითხრობენ სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივის შრომითს მიღწევებზე, ათი თვის გეგმის ვადამდე შესრულებაზე. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში მიღწეულ შრომით წარმატებებზე პატაკებით მოვიდნენ საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის, გემშემკეთებელი, მომთუთიებელი, ფანერის, ტყავის, კოფეინის, თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნების, ციტრუსკომბინატის, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები. ავტომანქანებზე დადგმულ უზარმაზარ სტენდებზე იყო ბათუმის საწარმოების მიერ უკანასკნელ თვეებში ათვისებული ახალი პროდუქციის ნიმუშები — ფეხსაცმელი და სხვადასხვა გაფერადების ტყავსაქონელი, კარგი ხარისხის ლამაზი ავეჯი, შეკერილი ნაწარმი, კონსერვები, გაყინული ხილი, საოჯახო საჭიროების საგნები.

მთავრობის ტრიბუნას ჩაუარეს მეცნიერმა მუშაკებმა, ექიმებმა, აგრონომებმა, ინჟინრებმა, პედაგოგებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა, ვაჭრობის მუშაკებმა.

ბათუმის მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი. (საკ. კორ.).

## სუხუმი

გათენდა თუ არა 7 ნოემბრის მზიანი დილა, ქალაქის ყოველ კუთხეში გაისმა საზეიმო სიმღერები, გაიმართა ცეკვა, თამაში. ბედნიერი სუხუმელი მშრომელები დემონსტრაციისათვის ემზადებოდნენ.

სრულ 12 საათზე იწყება მშრომელთა დემონსტრაცია. მოედანზე პირველნი შემოდიან სუხუმის სასპორტო სკოლის მოსწავლეები, რომელთა შორის ბევრია საქართველოსა და აფხაზეთის ჩემპიონი. მწყობრ კოლონად მოდიან ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები, მშენებლები, მოსამსახურეები, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკები, მოსწავლეები, სტუდენტები. დემონსტრანტთა კოლონებს მოაქვთ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

დემონსტრაციას წინ მიუძღვის საოქტომბრო შეჯიბრებაში გამარჯვებული ი. ბ. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც 11 თვის გეგმა 6 ნოემბრისათვის შეასრულა, დაზოგა 9 ტონა თამბაქო და 16.000 კვადრატული მეტრი საპილზე ქაღალდი.

მტკიცე ნაბიჯით გაიარეს რკინიგზელებმა, მეფეხსაცმელეებმა, მეკონსერვეებმა და სხვ.

7 და 8 ნოემბერს ქალაქის პარკებსა და ბაღებში მოეწყო მასობრივი სეირნობა, სტადიონებსა და სასპორტო მოედნებზე გაიმართა სპორტული შეჯიბრებანი. (საკ. კორ.).

## პარადი და დემონსტრაცია თბილისში

მშვენიერია სადღესასწაულოდ მორთული მშრომელთა თბილისი. [illegible] ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. [illegible]

[illegible] „პარადო, სმენა!“ [illegible] ამხ. ანტონოვი [illegible]

[illegible] ამხანაგები მ. პ. გიორგაძე, [illegible] ვ. მ. ჩხიკვაძე, [illegible]

[illegible] დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავის [illegible]

[illegible] დიდი ფერადი პორტრეტები. მოედანი იფარება ალისფერი ალმებით. პლაკატები, ტრანსპარანტები, დიაგრამები მოგვითხრობენ მშვიდობიან, შემოქმედებითს შრომაში მოპოვებულ გამარჯვებებზე.

ლენინის რაიონის საწარმოების მიერ გამომუშავებული პროდუქცია მთელ საბჭოთა კავშირში იგზავნება. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივი უპატაკებს ჩვენი ქვეყნის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის უნივერსალური სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხების დიდი პარტიის ვადამდე დამზადების შესახებ.

მნიშვნელოვან საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებმა. მათ მოაწყეს ჩქარი აბრეშუმსაქსოვი „ჩვს3-50“ მარკის დაზგების სერიული წარმოება. ეს დაზგები უალრესად ფართო და სხვადასხვა ასორტიმენტის აბრეშუმის ქსოვილებს ამზადებს.

ოქტომბერს ღირსეული შეხვედრა მოუმზადეს ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელებმა.

მოედანზე მოდიან სტალინის რაიონის საწარმოთა, დაწესებულებათა, უმაღლეს სასწავლებელთა, თეატრების კოლექტივები. დიაგრამებზე, რომლებიც კამვოლ-მაუდის ფაბრიკის მუშებს მოაქვთ, წარწერილია სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებულ შრომაში მათ მიერ მოპოვებული გამარჯვების ციფრები. წელს მათ ქსოვილები 80 პროცენტით მეტი გამოუშვეს, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხნის, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნისა და სხვა კოლექტივები დემონსტრაციაზე გამოვიდნენ პატაკებით საოქტომბრო სოციალისტური ვალდებულებათა წარმატებით შესრულების შესახებ.

ფართო ნაკადად შემოდიან მოედანზე მოლოტოვის, კალინინის, ორჯონიკიძისა და ქალაქის სხვა რაიონების მშრომელთა კოლონები. თვითეული მათგანის წინ მოდიან მოსწავლეები, პიონერები. მათ მოაქვთ ყვავილების თაიგულები, ფერადოვანი პლაკატები. მათზე წარწერილია სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ მხურვალე მადლობას კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი სასიხარულო, ბედნიერი ბავშვობისათვის. მრავალ ლოზუნგზე ელვარებენ მოწოდებანი „მშვიდობა და მეგობრობა“. ჰაერში აფრინეს თეთრი მტრედები, მშვიდობის ფრთოსანი მაუწყებლები.

ორჯონიკიძის რაიონის დემონსტრანტთა მწკრივებშია აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც საოქტომბრო შეჯიბრების დღეებში გეგმის გადამეტებით გამოიმუშავა 51 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი. მოდიან მელვინეობისა და კვების სხვა საწარმოთა მუშაკები.

მოდიან ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორები და მასწავლებლები. საქართველოში შექმნილია 20 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც ამზადებენ სპეციალისტებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის.

მოედანზე გაისმის სასიხარულო სიმღერები. ხალხურ საკრავთა ანსამბლების აკომპანემენტით ეროვნულ ცეკვას ასრულებენ ახალგაზრდები და მოხუცნი. გაისმის მისალმების შეძახილები ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს პატივსაცემად, დიადი კომუნისტური პარტიის პატივსაცემად. დემონსტრანტებს მოაქვთ ტრანსპარანტები, რომლებზეც გამოსახულია მხურვალე მადლობის სიტყვები პარტიისადმი, მთავრობისადმი ხალხის კეთილდღეობაზე მამობრივი ზრუნვისათვის.

სადღესასწაულო მსვლელობაში მონაწილეობას იღებენ ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები. კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მეოხებით საქართველო, რომელიც ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკად გადაიქცა. დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მრავალეროვან ოჯახში ქართველი ხალხი ახალ წარმატებებს აღწევს თავისი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

დემონსტრანტთა ნაკადს ბოლო არ უჩანს.

გულთბილად მიესალმებიან მეკრებილნი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივს. აკადემია აერთიანებს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა განშტოებულ ქსელს. ქართველი მეცნიერები გულმოდგინედ იბრძვიან იმისათვის, რომ მეცნიერების მიღწევები დანერგონ წარმოებაში.

თბილისის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციამ ცხადყო საბჭოთა ადამიანების ერთიანობა და დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მათი მზადყოფნა — მთელი ძალღონე მოახმარონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას. (საქინფორმი).





თბილისი. 1953 წლის 7 ნოემბერს ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე. გარნიზონის ჯარების პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია.
ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვლ. გინზბურგისა.

## სტალინირი

7 ნოემბერს დილით ადრე გაიღვიძა ქალაქმა. ქუჩები და მოედნები ხალხით აივსო. საზეიმოდ გამოიყურება სტალინირი. ფრიალებენ წითელი დროშები. შენობათა ფასადებზეა დიდი ზელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სტალინის სახელობის მოედანი — ქალაქის სიამაყე, რომელიც გუშინ დაამშვენეს ლამპიონებით.

იწყება დემონსტრაცია. მოედანი აივსო პიონერთა და მოსწავლეების მხიარული ჟრიამულით. მწყობრად მოდიან მშრომელთა მრავალრიცხოვანი კოლონები. მის რიგებშია კაჯაევის სახელობის ხე-ტყის კომბინატის კოლექტივი, რომელმაც სასახელოდ გაანაღდა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

ტრიბუნის წინ ჩაიარა სტალინირის მექანიკური ქარხნის მუშების, ინჟინერტექნიკოსებისა და მოსამსახურეების კოლონამ. ქარხანას ჰყავს ბევრი მოწინავე ადამიანი, რომლებიც წინასადღესასწაულო დღეებში საწარმოო დავალებებს ორმაგად ასრულებდნენ.

საამაყო მაჩვენებლებით მოვიდნენ დემონსტრაციაზე ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მუშაკები. ისინი თავდადებით იბრძვიან სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გაფართოებისათვის. ფეხსაცმლის საამქრომ წლიური გეგმა 116 პროცენტით შეასრულა, ხოლო მკერავების მიერ საწარმოო დავალების შესრულების მაჩვენებელი 110 პროცენტს აღწევს.

დემონსტრაციაზე განუწყვეტელ ნაკადად მოდიოდნენ მუშების, მოსამსახურეების, სტუდენტებისა და მოსწავლეების კოლონები. დიდი ზეიმით იდღესასწაულეს სტალინირის მშრომელებმა ოქტომბრის რევოლუციის 36-ე წლისთავი. (საკ. კორ.).

## ქუთაისი

სტალინის სახელობის მოედანზე ტრიბუნის წინ უწყვეტ ნაკადად ჩაიარეს ქალაქის საშუალო სკოლების, პედაგოგიური სასწავლებლის, სატყეო და სამთო ტექნიკუმების, პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების მოსწავლეებმა და სტუდენტებმა. ტრანსპარანტებზე წარწერილი სიტყვები გამოხატავდნენ მთელი ჩვენი ახალგაზრდობის ფიქრსა და მისწრაფებას — ბეჯითი სწავლით ასახელონ საყვარელი სამშობლო.

დაიწყო საწარმოთა კოლონების სვლა. მათ წინ მიუძღვის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც დემონსტრაციაზე გამოიტანა ახალგაზრდა კონსტრუქტორთა მიერ სულ რამდენიმე თვის წინათ გაუქმჯობესებული თვითსაცლელი მანქანები.

მტკიცე ნაბიჯით, ახალ საწარმოო გამარჯვებათა მაჩვენებლებით გაიარეს ტრიბუნის წინ მანქანათმშენებლებმა, ფეიქრებმა, მეფეხსაცმელეებმა, ლითოპონელებმა, მკერავებმა, მეკონსერვეებმა, რკინიგზელებმა, ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებმა. მათი ტრანსპარანტებიდან ჩანს, რომ სამშობლომ ოქტომბრის დღესასწაულის წინა დღეებში გეგმის გადამეტებით მიიღო დიდძალი ლითოპონი, ფეხსაცმელი, ქსოვილი, კონსერვი... ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა მეოთხე მეინარჩუნა მეორე ადგილი სსრ კავშირში და წარმატებით აითვისა ახალი ტიპის სანდალეტების გამოშვება.

მშრომელები განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ მანქანათმშენებელი ქარხნის მიერ გამოშვებული ექსკავატორის გამოჩენას.

ქუთაისის მშრომელთა დემონსტრაცია ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მასში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათეულმა ათასმა კაცმა. (საკ. კორ.).

# დიდი ოქტომბრის 36-ე წლისთავის დღესასწაული საზღვარგარეთ

საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად მთელმა მოწინავე კაცობრიობამ იდღესასწაულა 36-ე წლისთავი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომლითაც ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში.

ზეიმით აღნიშნეს ღირსშესანიშნავი თარიღი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებმა. 7 ნოემბრამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ამ ქვეყნებში გაჩაღდა მასობრივი საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, რომლის მონაწილეებმა შესანიშნავი შრომითი წარმატებებით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის წლისთავი. მაგალითად, პოლონეთში მწყობრში ჩადგა ექვსწლიანი გეგმის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ობიექტები, მათ შორის რესპუბლიკის უდიდესი ელექტროსადგური „მეხოვიცე". სიტყვა წარმოთქვა რა მის გახსნაზე, პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იაროშევიჩმა განაცხადა:

— ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მეოხებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით, იმპერიალიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ისტორიულ გამარჯვებათა მეოხებით ჩვენ დღეს ვცხოვრობთ თავისუფალ, დამოუკიდებელ ქვეყანაში, ვაშენებთ მშვენიერ სოციალისტურ მომავალს, ხალხის ბედნიერებასა და კეთილდღეობას.

სიამაყით უპატაკეს ოქტომბრის აღსანიშნავი თავიანთი შრომითი წარმატებები ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთისა და სხვა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მშრომელებმა. მთელ რიგ ამ ქვეყნებში მოეწყო საბჭოთა კავშირთან მეგობრობის ერთთვიურები, რომელთა მსვლელობაში მშრომელებმა კვლავ ცხადყვეს თავიანთი მხურვალე სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნისადმი.

დღესასწაულის დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში გაიმართა დიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილი კრებები. ჩინეთის ბევრ ქალაქსა და სოფელ ადგილში გაიხსნა გამოფენები, რომლებიც ასახავდნენ საბჭოთა კავშირის მიღწევებს. რესპუბლიკის თეატრებში უჩვენებდნენ საბჭოთა კინოფილმებს, რომლებსაც დიდი წარმატება აქვთ მოსახლეობაში.

სიტყვა წარმოთქვა რა საზეიმო სხდომაზე პეკინში, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ უ იუი-ჯანმა თქვა: „დიდი საბჭოთა კავშირის სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი ბრწყინვალე მაგალითია ჩინელი ხალხისათვის თავისი სამშობლოს მშენებლობაში. ჩინეთისა და სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა არა მარტო ჩვენი ქვეყნის მშენებლობის დაჩქარების გარანტიაა, არამედ აგრეთვე უდიდესი ძალაა მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის საქმეში".

გაზეთი „ჟენმინჟიბაო" სტატიაში „ოქტომბრის რევოლუციის ბრწყინვალება გვინათებს წინსვლის გზას", გამოხატავს რა მთელი ჩინელი ხალხის ფიქრსა და გრძნობებს, წერს: „ჩინელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს დიდ ყოველმხრივ, ხანგრძლივ, უანგარო და კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო დახმარებას, რომელსაც საბჭოთა ხალხი უწევს ჩინეთის ხალხებს... ჩვენს ხალხს გადაწყვეტილი აქვს სულ უფრო განამტკიცოს მჭიდრო თანამშრომლობა და მეგობრული კავშირი ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, კიდევ უფრო მჭიდროდ გაერთიანდეს საბჭოთა ხალხთან და გაბედულად იაროს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ დასახული გზით".

7 ნოემბერს დილიდანვე საბჭოთა კავშირის ვარშავის საელჩოს შენობაში იწყო მისვლა მშრომელთა მრავალმა დელეგაციამ, რომლებიც ძმურ სალამს გადასცემდნენ საბჭოთა ხალხს დღესასწაულის გამო და უსურვებდნენ შემდგომ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში. პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული საბჭოთა მეომრების საფლავები საზეიმო ვითარებაში შეამკეს გვირგვინებით.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მოეწყო მშრომელთა მასობრივი მიტინგები, რომლებიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავსა და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დაწყებას. ჩეხოსლოვაკიის მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია გულითად სალამს უძღვნიდნენ საბჭოთა კავშირის ხალხებს და კისრულობდნენ საზეიმო ვალდებულებას, რომ კიდევ უფრო კარგად იმუშავებენ, რათა ვადამდე დაამთავრონ ხუთწლედის უკანასკნელი წელი.

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაიმართა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომა. სხდომის მონაწილეებმა ძმური სალამი გაუგზავნეს საბჭოთა ხალხს მისი ეროვნული დღესასწაულის გამო. აღნიშნავდა რა დიად წლისთავს, გაზეთი „საბად ნეპი" წერდა: „36 წლის წინათ იშვა თავისუფლება. ახლა იგი ასობით მილიონი ადამიანის მონაპოვარია, საუნჯეა, რომელსაც მათ ვერავინ წაართმევს. ამ ძირეულად შეცვლილ სამყაროში ბედნიერების გზით მიდის აგრეთვე ჩვენი მშობლიური უნგრელი მშრომელი ხალხი".

სიხარულით და ზეიმით აღნიშნა ოქტომბრის 36-ე წლისთავი რუმინელმა ხალხმა. ბუქარესტში ი. ბ. სტალინის მოედანზე გაიმართა მშრომელთა მრავალათასიანი დემონსტრაცია და მიტინგი. ტრიბუნაზე იყვნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელნი და მთავრობის წევრები გ. გეორგიუ-დეჟის მეთაურობით, წევრები საბჭოთა დელეგაციისა, რომელიც რუმინეთში ჩავიდა რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით. მშრომელთა მასობრივი კრებები და მიტინგები გაიმართა აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში.

სამ საათზე მეტს გაგრძელდა მშრომელთა დემონსტრაცია ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში. გ. დიმიტროვის მავზოლეუმს, რომელზეც იყვნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, ჩაუარა 250 ათასზე მეტმა კაცმა. ოქტომბრის წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი გაიმართა აგრეთვე პლოვდივში, სტალინში, რუსეში, ბურგასში, პლევენსა და ბულგარეთის სხვა ქალაქებში. ამ დღეებში ბულგარელმა ხალხმა კვლავ განსაკუთრებული ძალით ცხადყო თავისი ურღვევი კავშირი და მტკიცე მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხებთან.

დიდი ოქტომბრის 36-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი კრებები, მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა ალბანეთში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

სახელოვანი 36-ე წლისთავი ფართოდ აღნიშნეს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებმა. იტალიის სხვადასხვა პროვინციაში „იტალია-სსრ კავშირის" საზოგადოების ინიციატივით მოეწყო მიტინგები და კრებები, რომელთა მონაწილენი მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას.

ინდოეთში სსრ კავშირის საელჩოს ეწვივნენ ინდოეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი, მუშათა დელეგაციები, რომლებმაც ერთსულოვნად გამოთქვეს სურვილი, რომ განმტკიცდეს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა.

ლიბანის გაზეთ „ას-სარხის" ცნობით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მრავალი კრება გაიმართა სირიაში. კრებებზე გამოსული ორატორები დამსწრეთ უამბობდნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და სსრ კავშირის დიად მიღწევებზე კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

მონტევიდეოში (ურუგვაი) დიადი წლისთავის წინა დღით მოეწყო მუშების, პროგრესულ ორგანიზაციათა და ინტელიგენციის წარმომადგენლების მასობრივი კრება. კრებაზე გამოვიდა ურუგვაი-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტის მდივანი ლიდია ჩასალე, რომელმაც მოუწოდა ურუგვაის საზოგადოებრიობას ოქტომბრის 36-ე წლისთავის დღესასწაული გადააქციოს მშვიდობისა და საბჭოთა კავშირთან მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლის დღედ.

საზეიმო სხდომაზე ოსლოში მოხსენება დიდი ოქტომბრის შესახებ გააკეთა ცნობილმა ნორვეგიელმა მსახიობმა ულე გრეპმა. მან თქვა: „ჩვენ ნორვეგიაში, ვოცნებობთ რა მშვიდობაზე და ვესწრაფვით მას, ამ დიად დღეს სალამს ვუძღვნით ახალ საბჭოთა ადამიანს, რომელსაც მოაქვს აგრეთვე ჩვენი მომავალი".

ბერძნული გაზეთი „ავგი" სადღესასწაულო ნომერში წერდა: „ახლა უკვე არავის შეუძლია უარყოს სსრ კავშირის დიდი ეკონომიური და კულტურული მიღწევები. ეს მიღწევები ჭეშმარიტად კოლოსალურია. საბჭოთა ხალხმა, იცავდა რა თავის მიღწევებსა და მსოფლიო ცივილიზაციას, აურაცხელი მსხვერპლი გაიღო ფაშიზმის მოსპობისათვის ბრძოლაში. 36 წელს სსრ კავშირი ურყევად იცავდა მშვიდობის საქმეს. სოციალიზმის ქვეყანა მხარს უჭერს ყოველგვარ თაოსნობას, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. საბჭოთა ხალხი მუდამ მიგვითითებს სწორ გზას ყველა საერთაშორისო უთანხმოების გადაჭრისაკენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მისი პოლიტიკა ხალხთა თანასწორობის პოლიტიკაა".

ფრანგული გაზეთი „ლუმანიტე", აღნიშნავდა რა საბჭოთა კავშირის დიდ მიღწევებსა და მის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ხაზგასმით წერდა: „ფრანგები კვლავ მტკიცედ იმეორებენ თავიანთ ფიცს: „ფრანგი ხალხი არ იომებს, არასოდეს არ იომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

ოქტომბრის 36-ე წლისთავი ფართოდ აღნიშნეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა. „ვიეტნამელი ხალხი, — წერს გაზეთი „ნიან დანი", — მარტო როდია თავის ბრძოლაში, რადგან მას ზურგს უმაგრებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი საბჭოთა კავშირის მეთაურობით, რომელიც მხურვალედ უჭერს მხარს მის სამართლიან ბრძოლას".

ოქტომბრის დიადი დღესასწაული აღნიშნა ყველა ქვეყნისა და კონტინენტის მრავალმა მილიონმა მშრომელმა. საბჭოთა ხალხის ისტორიული მონაპოვარნი, მისი დაუცხრომელი ბრძოლა კაცობრიობის ბედნიერებისათვის, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის მათ მიაჩნიათ თავიანთი უკეთესი მომავლის გარანტიად.

დღესასწაულის დღეებში პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში საზეიმო ვითარებაში შეამკეს გვირგვინებით იმ საბჭოთა მეომრების საფლავები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ამ ქვეყნების ხალხთა განთავისუფლებას ფაშისტური მონობისაგან.

უცხო ქვეყნებში საბჭოთა ელჩებმა და დესპანებმა გამართეს დარბაზობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავის აღსანიშნავად. (საქდესი).

## ჩაიფუშა ჯონსტონის მისია ახლო აღმოსავლეთში

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. (საქდესი). გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსი" აქვეყნებს ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ, როგორც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, ერიკ ჯონსტონის მისია ახლო აღმოსავლეთში „თითქმის სრული მარცხით დამთავრდა"... „ლიბანში, სირიაში, იორდანიასა და ეგვიპტეში ჯონსტონს შეხვდნენ გულგრილი ფორმალობით, და შეიძლება ეჭვის თვალითაც".

## მოსადიკის გასამართლება

ლონდონი, 8 ნოემბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს დაიწყო ირანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მოსადიკის გასამართლება. სულთანაბადის ციხეს, სადაც მიმდინარეობს გასამართლება, იცავენ ჯარის ნაწილები ტანკებითა და ჯავშნიანი მანქანებით.

## კომუნიკე საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის სესიის შესახებ

ამას წინათ ვარშავაში გაიმართა სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-პოლონეთის კომისიის მორიგი სესია.

კომისიამ განიხილა ორ ქვეყანას შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მორიგი საკითხები და მიიღო ახალი ურთიერთვალდებულებანი.

მხარეების მიერ ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად საბჭოთა კავშირი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას გაუწევს მეცნიერულ-ტექნიკურ დახმარებას, რისთვისაც გადასცემს: ქიმიური პროდუქტების მწარმოებელი ქარხნისა და საშენი მასალების მრეწველობის ნაწარმის ქარხნის პროდუქტებს; სამუშაო ნახაზებს უახლესი ტიპების მეტალურგიული და ენერგეტიკული მოწყობილობის, ლითონდასამუშავებელი ჩარხების, სატრანსპორტო და სამშენებლო მოწყობილობის, სახალხო მოხმარების საქონლის მრეწველობის აპარატურისა და ხელსაწყოების საწარმოებლად; სალებრების, სამედიცინო პრეპარატების, კერამიკულ და სხვა ნაკეთობათა წარმოების ტექნოლოგიის ტექნიკურ დოკუმენტაციას, ვიტამინებისა და საკონდიტრო ნაწარმის წარმოების რეცეპტურას.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას საბჭოთა კავშირი გადასცემს მარცვლეული, ზეთოვანი, პარკოსანი, ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის ნიმუშებს, აგრეთვე საბჭოთა სპეციალისტები გაუწევენ კონსულტაციას მეცხოველეობაში გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ოქმი ითვალისწინებს აგრეთვე, რომ სსრ კავშირმა პოლონეთის მხარის თხოვნის შესაბამისად მოაწყოს პოლონეთის დამპროექტებელი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სხვადასხვა პროექტის ექსპერტიზა.

გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი მიიღებს პოლონელი სპეციალისტების ჯგუფს, რომელნიც საწარმოო პრაქტიკას გაივლიან სსრ კავშირის ქარხნებში, საკონსტრუქტორო ბიუროებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და სხვა დაწესებულებებში, აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მიავლინებს საბჭოთა სპეციალისტებს ადგილობრივ ტექნიკური დახმარების გასაწევად.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა თავის მხრივ გადმოსცემს საბჭოთა კავშირს ქიმიური, მინისა და მრეწველობის სხვა დარგების ცალკეულ სახეობათა წარმოების მეცნიერულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას, აგრეთვე საშუალებას მისცემს საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფს გაეცნოს სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებულ მიღწევებს.

იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც საფუძვლად უდევს სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას, მეცნიერულ-ტექნიკური დახმარების გაწევა, აგრეთვე ტექნიკური დოკუმენტაციის (ქარხნების, ფაბრიკების, საცხოვრებელი შენობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა პროექტები, მანქანებისა და მოწყობილობის, აპარატებისა და ხელსაწყოების გასაკეთებელი ნახაზები და გაანგარიშება, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების აღწერილობა და გაანგარიშება) გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

## კომუნიკე მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-ალბანეთის კომისიის სესიის შესახებ

1953 წლის ოქტომბერში მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-ალბანეთის კომისიის სესია.

ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად საბჭოთა კავშირი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკას გაუწევს მეცნიერულ-ტექნიკურ დახმარებას ალბანეთისათვის სამედიცინო ინსტიტუტის მოსაწყობად საპროექტო დოკუმენტაციის, მსუბუქი და კვების მრეწველობის ცალკე სახეობათა პროდუქციის ტექნოლოგიური პროცესების აღწერილობის, ბიტუმის დამზადების, ელექტროსადგურების ექსპლოატაციის, რკინიგზის ტრანსპორტის ინსტრუქციების და სხვა მასალების გადაცემის გზით. გადაცემულ იქნება აგრეთვე სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები სატყეო, ხის დასამუშავებელი, მსუბუქი და კვების მრეწველობის კადრების მომზადების დარგში.

გარდა ამისა, ალბანეთში მივლინებულ იქნებიან საბჭოთა სპეციალისტები, რათა ამ ქვეყანას გაუწიონ ტექნიკური დახმარება საშენი მასალების წარმოების, საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაციის მოწყობაში, აგრეთვე გააცნონ საბჭოთა კავშირის გამოცდილება ციტრუსოვანი კულტურების მოყვანაში.

საბჭოთა კავშირი ალბანელ სპეციალისტებს საშუალებას მისცემს გაეცნონ სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას და სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაობას.

იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც საფუძვლად უდევს სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებთან მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას, საბჭოთა კავშირი მეცნიერულ-ტექნიკურ დახმარებას უსასყიდლოდ გაუწევს ალბანეთს.



ქ. თბილისი. 1953 წლის 7 ნოემბერი. ლენინის სახელობის რაიონის მოსწავლეები ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე. ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

## მორიგი გაწვევა პროფგანათლების საფაბრიკო-საქარხნო და სამთო-სამრეწველო სკოლებში

დღეს, 10 ნოემბერს, იწყება მორიგი გაწვევა პროფგანათლების ქსელის საფაბრიკო-საქარხნო და სამთო-სამრეწველო სკოლებში. გაწვევა უნდა დამთავრდეს 20 დეკემბერს.

რუსთავის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში, რომელიც ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბაზაზე მუშაობს, მორიგ ნაკადად მიღებულ იქნება 250 ახალგაზრდა, თბილისის № 14 საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში — ამდენივე, გორის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში — 100, ქუთაისის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში — 150, ტყიბულის სამივე სამთო-სამრეწველო სკოლაში მიიღებენ 385 ახალგაზრდას, ტყვარჩელის სამთო-სამრეწველო სკოლაში — 210 და ახალციხის სამთო-სამრეწველო სკოლაში — 100 ახალგაზრდას.

## თბილისს ჩამოვიდნენ პროფკავშირთა მსოფლიო კონგრესის მონაწილენი

9 ნოემბერს თბილისს ჩამოვიდა პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესის დელეგატთა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით.

სტუმრებს შორის არიან ტუნისის, ლიბანის, კამერუნის და მადაგასკარის წარმომადგენლები.

ჩამოსულთ აეროდრომზე შეხვდნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. დ. გიორგაძე და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების წარმომადგენელნი. (საქდესი).

## სამეცნიერო სესია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება 11-18 ნოემბერს იწვევს სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებებისადმი.

სესიის სხდომები გაიმართება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) საღამოს 8 საათზე.

## ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

10 ნოემბერს საღამოს 8 საათზე შედგება ლექცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის თემაზე: „ი. ბ. სტალინის შრომა: „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ". ლექტორი დოცენტი პ. თავხელიძე.

## ფეხბურთი

### საბჭოთა ფეხბურთელების ამხანაგური შეხვედრები უცხოეთში

8 ნოემბერს საბჭოთა ფეხბურთელებმა მორიგი შეხვედრები ჩაატარეს პოლონეთში, ფინეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ვარშავაში, პოლონეთის სახალხო არმიის სტადიონზე, მესამე საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებაში მოსკოვის „სპარტაკი" შეხვდა პოლონეთის ჩემპიონს — საზოგადოება „უნიას" (ქალაქი ხოჟუვი) ფეხბურთელთა გუნდს. სპორტულად საინტერესო შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა ანგარიშით 4 : 2.

ვაასაში ლენინგრადის „ზენიტის" ფეხბურთელები შეხვდნენ ქალაქ ვაასას ნაკრებ გუნდს, რომელიც ძირითადად შედგენილი იყო ადგილობრივი გუნდის — ფეხბურთში ფინეთის ჩემპიონის მოთამაშეებისაგან. საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა „ზენიტის" გამარჯვებით ანგარიშით 4 : 0.

ბერლინში, ვალტერ ულბრიხტის სტადიონზე, მეოთხე საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა მოსკოვის „ტორპედოს" გუნდმა. ტორპედოელები შეხვდნენ დემოკრატიული ბერლინის ნაკრებ ფეხბურთელთა გუნდს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1 : 1.

### რესპუბლიკური ჩემპიონატი

საქართველოს 1953 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. მორიგი შეხვედრები გაიმართა 5 და 8 ნოემბერს თბილისში, ქუთაისში, სუხუმში, გორში და მახარაძეში.

„ა" ქვეჯგუფში თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა მოუგო 26 კომისრის რაიონის ფეხბურთელთა კოლექტივს 3:0, გორის „დინამომ" — თბილისის „მედიკს" 2:0, ბორჯომის ნაკრებმა — 26 კომისრის რაიონის გუნდს 3:0.

„ბ" ქვეჯგუფში 8 ნოემბრის შეხვედრათა შედეგები ასეთია: „კოლმეურნე" (მახარაძე) — „სპარტაკი" (სტალინირი) 1:3, „დინამო" (სუხუმი) — „დინამო" (ბათუმი) 0:0, „დინამო" (ქუთაისი) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:0.

**1953 წლის 12 ნოემბერს, დილის 10 საათზე, მოწვეულია გაზეთ „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთა თათბირი.**

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.


**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 10 ნოემბერს | დ. თორაძე — **მშვიდობისათვის** (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით). |
| 11 ნოემბერს | ზ. ფალიაშვილი — **აბესალომ და ეთერი** |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

12 ნოემბერს

აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტის და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის

**ფატმა მუხტაროვას**

შემოქმედებითი საღამო სცენიდან მისი გასვლის გამო.

დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აცხადებს, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წლის 21 ნოემბერს დღის 3 საათზე № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **თინა სიმონის ასული მარგველაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ჩრდილოკავკასიური წარმოშობის არაბულენოვან ძეგლთა ენობრივი თავისებურებანი".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი **აკ. შანიძე**, დოცენტი მეცნიერებათა კანდიდატი **ა. ლეკიაშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **ავთანდილ ალექსანდრეს-ძე ჩიხლაძემ**, მცხოვრებმა ყიზილარის ქ. № 6, აღძრა საქმე კალინინის ქ. № 84 მცხოვრებ მოქალაქე **ნათელა აკაკის ასულ ყიფიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **იაკობ ივანეს-ძე ბაჩიკაშვილმა**, მცხოვრებმა ჩეხოვის ქ. № 10, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **ხანა რაფაელის ასულ კეზერაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები ნორა, გიორგი, ქუთათელაძეები, რძალი ელენე გაბუნია, სიძე გრიგოლ ჩიქვაიძე, შვილიშვილები დოდო, ჯანსულ, გიორგი იუწყებიან **ვლადიმერ არსენის-ძე ქუთათელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-XI, 8 ს. გამოსვენება 12-XI, 5 ს. ფალიაშვილის ქ. № 34.

რძალი ტატიანა, შვილიშვილები თინა, რეზო თოდუები, სიძე თამაზ კერესელიძე იუწყებიან **სამსონ გიორგის-ძე თოდუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-XI, 8 ს. გამოსვენება 12-XI, 4 ს. პლეხანოვის პროსპ. № 86.

მშობლები გრიგოლ, ნადია, მეუღლე ოლია, შვილი ნოდარ, ძმა ანზორ, და მედეა ჩაფიძეები, ბებია ივლიტე, დომნა ჩაფიძე იუწყებიან **დავით გრიგოლის-ძე ჩაფიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 12-XI, 4 ს. გამოსვენება ურიცკის ქუჩის რგოლი № 21.

მეუღლე პაშა, სიდედრი ანა, სიმამრი პორფილე ცერცვაძე, ძმა აკაკი, დები ლუდია, თამარ, ლოლა, ბიძები პროკოფი, არკადი, ილარიონ, ვალერიან ზაქარიაძეები იუწყებიან **გიორგი ილიას-ძე ბერიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XI მახარაძეში.

მეუღლე ევა, შვილები სოლომონ, იუვენალი, ნათელა, ძმები ამბროსი, გერმოგენი, დები კატო, ნინო, ოლია, რძალი ნინო ოჯახებით, შ. სულიაშვილი, გ. ლოსაბერიძე იუწყებიან **იაიროს სპირიდონის-ძე ბრეგვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XI ს. ვაჭევში (ჭიათურის რ.).

მშობლები ფოფო, ვიქტორ, ძმა კარლო კერესელიძეები იუწყებიან **აზას** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ უწერაში (ონის რაიონი).

შვილები ნინო, გრიგოლ ქადეიშვილები, და ელენე წულაძე, რძლები ანა, დარეჯან. შვილიშვილები ვასო, ციალა, მერი, ეთერ, თორნიკე, თამარ, სიძე ა. გურგენიძე იუწყებიან **ვასილ ივანეს-ძე ქადეიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-XI, 8 ს. გამოსვენება 12-XI, 4 ს. სანაპიროს ქ. № 9.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან **გრიგოლ ილიას-ძე წიკლაურის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10-XI, 4 ს. ჩაიკოვსკის ქ. № 11.

საქსარეწტექმომარაგების თანამშრომლები იუწყებიან **ვარვარა არტემის ასულ ძამოევას** გარდაცვალებას.

და ძაბა ჯიქია, რძალი ფენია დადიანი, სიძე ღ. კოლუა, დისწულები ცისანა, გიგა კოლუები იუწყებიან **სოლომონ ზურაბის-ძე ჯიქიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-XI, 5 ს. ქ. ცხაკაიაში, გამოსვენება ბარათაშვილის ქ. № 4.

შვილები ლევან, რევაზ, ძმა აპოლონ, რძლები ანაიდა, ლუბა ოდილავაძეები, თინა სტურუა შვილებით იუწყებიან **ლუბა ლუკას ასულ ოდილავაძე-სტურუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XI სოფ. ღანირში (სამტრედიის რაიონი).

შვილები ვანო, ოლღა, რძლები მარო, ელენე, შვილიშვილები მადონა, როზა, შოთა ფრანგულაშვილები, დისწული შალვა გოგუა იუწყებიან **კონსტანტინე ეფრემის-ძე ფრანგულაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-XI მამათში (ლანჩხუთის რაიონი).

შვილები სიმონ, ვერა, დავით, რძლები მარო, ვერა, შვილიშვილები ლამარა, რეზო, ლილი, ავთანდილ, ნოდარ ცირეკიძეები იუწყებიან **ვასასი ივანეს ასულ ცირეკიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XI, 5 ს. ქ. ქუთაისში. გამოსვენება ჟდანოვის ქ. № 4.

შვილები მარგო, ძაბულ, ალექსანდრე, გიორგი, მამია, ცარუ, კლარა, შვილიშვილები ნოდარ ჩხოლარია, ლია, თამაზ ჩხარტიშვილები, ძმა შალვა ხოჭოლავა იუწყებიან **გლაფირა გრიგოლის ასულ მეუნარგიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-XI ცაიშში.

ძმა გრიგოლ, რძალი თამარ, ძმისწულები ვახტანგ, რევაზ, ნუნუ ოჯახებით ქადეიშვილები, დები მარიამ, ოლია იუწყებიან **ვასილ ივანეს-ძე ქადეიშვილის** გარდაცვალებას.

შვილი თინა მრევლიშვილი, სიძეები გრიგოლ კოკელაძე, ნოდარ კალანდაძე, შვილიშვილები მზია, როდამ იუწყებიან **მარიამ ალექსის ასულ მრევლიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10-XI, 4 ს. კალინინის ქ. № 22.

მარიამ, მალიკო, ფაინა, მიხეილ მრევლიშვილები, პოკო მურღულია, თამარ ბაქრაძე, ქეთო, ირაკლი რაზმაძეები, კონსტანტინე კეკელიძე იუწყებიან რძლის **მარიამ ალექსის ასულ მრევლიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10-XI, 4 ს. კალინინის ქ. № 22.

მეუღლე თამარ, შვილი ალექსანდრა, მშობლები ნინო, ილია, და ელენე, სიძე გ. ბასილაური, დეიდა ნინო, სიდედრი რიმა, ცოლისძმა შოთა მეუღლით საყვარელიძეები იუწყებიან **გრიგოლ ილიას-ძე წიკლაურის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10-XI, 4 ს. ჩაიკოვსკის ქ. № 11.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ისტატე გიორგის-ძე გუდავას** გარდაცვალებას.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სამსხმელო საამქროს კოლექტივი იუწყება **ნადეჟდა ივანეს ასულ წურქავას** გარდაცვალებას.


რედაქციის, გამომცემლობის და ხაზის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: [illegible]

უე 11093 პოლიგრაფტრესტი „კომუნისტი"